



MES 2 21 0000933487



16/09/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (პროგრამა - Zoom-ის) გამოყენებით, **2021 წლის 02 სექტემბერს**.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)

დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;

ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;

ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

ბორის ლეჟავა - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში,

მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის“ სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

თამარ არღვლიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- პროფესორი **დავით ნიშნიანიძე** - ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ასოც. პროფესორი - **მირანდა მნაცაკანიანი** - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პასუხისმგებელი პირი;
- ასოც. პროფესორი - **ნანა ჯულაყიძე** - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- რექტორი - **ჯემალ ძაგანია,**

- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - ვლადიმერ ბოჟაძე;
- მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანი - ტრისტან გულბიანი
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი - გიორგი ფარულავა
- სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი - გიორგი ზუბიტაშვილი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - მაია ხურცილავა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- გიორგი დალაქიშვილი;
- დავით სიხარულიძე;
- თინათინ გაბრიჩიძე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
 არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება?

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი დალაქიშილიმა, საბჭოს წევრებს წარუდგინა რეკომენდაციები და რჩევები. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა რიგ კურსებში წინაპირობების გადახედვას, რადგან იყო ისეთი კურსები, რომლებსაც სჭირდებოდა წინაპირობები. ექსპერტის განმარტებით, შესაძლებელი იყო, ინსტიტუციას ჰქონოდა არგუმენტი, რომ წინაპირობების არქონა მეტ თავისუფლებას აძლევდა სტუდენტს საგნის არჩევისას, თუმცა ექსპერტის თქმით, სტუდენტს მოეთხოვებოდა იმის ცოდნა, რაც მას დასჭირდებოდა კურსის ათვისებაში. ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივის განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლას, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მესამე რეკომენდაცია იყო: „საკურსო ნაშრომის სილაბუსის სწავლის შედეგები შესაბამისი დონის (მე-6) აღმწერის შესაბამისად დაკორექტირება.“

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. სასურველია, სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების დახვეწის მიზნით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რეგულარულად ტარდებოდეს სტუდენტების გამოკითხვა, სადაც ისინი გამოხატავენ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებასთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებას და გამოკითხვის შედეგების ანალიზი გამოყენებულ იქნეს პროგრამის დახვეწისათვის;
2. სასურველია, ლიტერატურის/სასწავლო მასალების რეგულარული განახლება.
3. განმარტებულ იქნას ჩანაწერი საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევითი კომპონენტის შეფასების (გვ. 8) შესახებ.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის შეფასება განხორციელა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

„ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა დავით ნიშნიანიძემ განმარტა, რომ ინსტიტუცია გაითვალისწინებდა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. მისი განმარტებით, პირველ რეკომენდაციაში მოყვანილ კურსებში არსებულ წინაპირობებს დაემატა

ახალი წინაპირობები. სასწავლო კურსის „ელექტრობა და მაგნიტიზმი“, წინაპირობად განისაზღვრა „მოლეკულური ფიზიკა და თერმოდინამიკა“ და „დიფერენციალური განტოლებები“. სასწავლო კურსის „კლასიკური მექანიკის“ წინაპირობად განისაზღვრა „მექანიკა“, „კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია“. სასწავლო კურსის „ველის თეორია“ წინაპირობად განისაზღვრა „დიფერენციალური განტოლებები“ და „კლასიკური მექანიკა“. სასწავლო კურსის „კვანტური მექანიკა“ წინაპირობად განისაზღვრა „ალბათობის თეორია“ „მათემატიკური სტატისტიკა“ და „კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია“. ხოლო სასწავლო კურსის „მოლეკულური ფიზიკა“ წინაპირობად განისაზღვრა „თერმო დინამიკა“, მათემატიკური ანალიზი“, „ალბათობის თეორია“ და „მათემატიკური სტატისტიკა“.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ინსტიტუციამ, აღნიშნული რეკომენდაცია გადასცა უცხო ენათა ცენტრს, რომელთა მხრიდანაც იყო დაპირება, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნებოდა სასწავლო კურსების განმახორციელებელი ენის შემსაწავლელი ცენტრის მიერ.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და სწავლის შედეგები მოყვანილ იქნა შესაბამისობაში მე-6 დონის აღმწერთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ ატარებდა სტუდენტთა გამოკითხვას. მისი თქმით კითხვარები შეეხებოდა, განვლილი სასწავლო კურსების და განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას. დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ხსენებული გამოკითხვები ტარდებოდა, გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში. ასევე, მისი თქმით ტარდებოდა აკადემიური მოსწრების ანალიზი და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ონლაინ მეცადინეობებზე, ხოლო შედეგები გადაეცემოდა პროგრამის ხელმძღვანელს.

ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, „ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ლიტერატურა ახლდებოდა შესაძლებლობის ფარგლებში. მისი თქმით, მიმდინარე წელს სამი საგნის ლიტერატურის განახლება მოხდა, თუმცა ყოველწლიურად არსებობს გეგმა ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლიტერატურასთან დაკავშირებით დაამატა, რომ მოცემულ საკითხებთან მიმართებით საბაკალავრო საფეხურზე მხოლოდ ერთი ლიტერატურა არსებობდა ქართულ ენაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:20 საათი

საბჭოს სხდომა განახლდა: 14:24 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე

მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფიზიკის“ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა და აღნიშნა, რომ სრულად იყო შესრულებული 1-ლი, მე-2, მე-3

სტანდარტების რეკომენდაციები. მე-4 სტანდარტის 6 რეკომენდაციიდან შესრულებული იყო 4, ხოლო - 2 ნაწილობრივ იყო შესრულებული. მე-5 სტანდარტის 2 რეკომენდაცია ნაწილობრივ იყო შესრულებული. მე-6 სტანდარტის 8 რეკომენდაციიდან 7 შესრულებული იყო და ერთი არ იყო შესრულებული. მე-7 სტანდარტის 2 რეკომენდაცია ნაწილობრივ იყო შესრულებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ნაწილობრივ შესრულდა და არ შესრულდა. „დარწმუნდით, რომ სასწავლო საკითხების შესახებ ინგლისურენოვანი ვერსია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე“. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ეს ინფორმაცია და უნივერსიტეტს ედო გარკვეული ინფორმაცია ინგლისურ ენაზე, თუმცა იყო ინფორმაცია, რომელიც მათ ვერ ნახეს და ეს იყო მაგალითად, აკადემიური კალენდარი, ინფორმაცია მობილობის შესახებ და ასე შემდეგ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით - „დარწმუნდით, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა და ეს გეგმა საყოველთაოდ არის გავრცელებული“, რომელიც ნაწილობრივ შესრულდა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავდა, რომ ექსპერტებმა ვებგვერდზე ნახეს, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა დადებული, თუმცა სამოქმედო გეგმა მათ ვერ მოიძიეს.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „შეიმუშავეთ ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესორების მიერ კვლევის ერთობლივი ხელმძღვანელობის პრაქტიკა“, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია არ იყო შესრულებული. სასწავლო უნივერსიტეტმა დამატებით წარმოადგინა ორი მიმოწერა საერთაშორისო პარტნიორებთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობდა, რომ ის მიმოწერა ვერ ჩაითვლებოდა ერთობლივი ხელმძღვანელობის შესახებ თანამშრომლობად.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით - „დარწმუნდით, რომ ყველა ობიექტის დონე დამაკმაყოფილებელია“, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძის გამზირის ნომერ 49-ში არსებულ ფართზე რჩებოდა ობიექტები, რომლებიც საჭიროებდნენ მოწესრიგებას და რეკომენდაციის შესრულებას განსაზღვრული დრო დასჭირდებოდა.

„შეიმუშავეთ სპორტუნის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსია“ იყო რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით ნაწილობრივ იყო შესრულებული. ექსპერტებმა შეამოწმეს სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, სადაც განთავსებული იყო ინფორმაცია, თუმცა გარკვეული ინფორმაცია რაც გახლდათ ხელმისაწვდომი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

რექტორმა, ჯემალ მაგანიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ სასწავლო დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 17-18 მარტს. ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ჩეხეთის მასაიკის უნივერსიტეტის პროფესორი ნილან ოლი. 2020 წლის 22 მაისის დადგენილებით, რომელიც მიიღო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ, უნივერსიტეტს 6 წლით მიენიჭა უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი და დაუდგინდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. იქვე გადაწყდა, რომ დაწესებულებას ერთი წლის ვადაში უნდა ემუშავა იმ რეკომენდაციებსა და რჩევებზე, რომლებიც ავტორიზაციის ექსპერტთა საბჭომ მისცა მათ. 1 წლის განმავლობაში დაწესებულებამ მოამზადა ანგარიში და 2021 წლის 31 მაისს წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელმაც აღნიშნული ანგარიში გადასცა ექსპერტთა ჯგუფს და საბოლოო დასკვნა დაწესებულებამ 2021 წლის 28 ივლისს მიიღო.

რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული 47 რეკომენდაციიდან 40 რეკომენდაცია სრულად შესრულდა, 6 ნაწილობრივ, ხოლო 1 არ იყო შესრულებული. ნაწილობრივ შესრულებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით რექტორმა განმარტა, რომ მას

შემდეგ, რაც მათ დასკვნა მიიღეს, ორი თვე გავიდა და ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციებიც შეასრულეს სრულად. რაც შეეხება 1 არშესრულებულ რეკომენდაციას - „შეიმუშავეთ ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესორების მიერ კვლევის ერთობლივი ხელმძღვანელობის პრაქტიკა“, რექტორმა ბრძანა, რომ ყველასთვის კარგად იყო ცნობილი სასწავლო უნივერსიტეტებსა და სამსაფეხურიანი განათლების მქონე უნივერსიტეტებს შორის არსებული განსხვავება. გასაგები იყო ის, რომ მე-6 სტანდარტის მიხედვით, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებენ კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას. რექტორმა აღნიშნა, რომ მსგავსი მოთხოვნა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე უნიფიცირებულად ვრცელდებოდა საქართველოში მოქმედ სასწავლო უნივერსიტეტებზე, რომლებსაც მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები გააჩნიათ, იმ უნივერსიტეტებთან შედარებით, რომლებსაც სადოქტორო საფეხურიც ჰქონდათ. რექტორმა ასევე განმარტა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, მათი სასწავლო უნივერსიტეტი შედარებით ნაკლებად ჩართული ჩანდა კვლევით საქმიანობაში, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს არ იყო სწორი, რადგან ისინი, როგორც სასწავლო უნივერსიტეტი, გაერთიანებულნი იყვნენ მსოფლიოს სპორტის უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციაში 2015 წლიდან და მათი ეგიდით, სისტემატურად მონაწილეობდნენ იმ საერთაშორისო კონგრესებში, რომლებსაც ასოციაცია მართავდა. დაწესებულების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ პოლონეთში, სანკტ-პეტერბურგში, ერევანში, უნდა წასულიყვნენ ინდოეთში, მაგრამ პანდემიის გამო გადაიდო და 2018 წელს საქართველომ უმასპინძლა აღნიშნულ საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომელსაც მსოფლიოს 54 სპორტის უმაღლესი სასწავლებლის 130 მეცნიერ-თანამშრომელი ესწრებოდა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ აღნიშნულ ორ მიმოწერასთან დაკავშირებით, რექტორმა განმარტა, რომ ოფიციალურად დაფიქსირებული ორი მიმოწერის გარდა, დაწესებულება სხვადასხვა კავშირების საშუალებით ეკონტაქტებოდა მათ კოლეგებს, დარგის უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს, თუმცა ურთიერთსაუბრის დროსაც ვლინდებოდა, რომ დიდ ინტერესს არ იჩენდნენ სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელობისა, ამიტომაც იყო გაურკვეველი, თუ რა გამოსავალი უნდა ეპოვნა დაწესებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით დაწესებულებას მუშაობა არ შეუწყვეტია და ცდილობდა, რომ რიგი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა ერთბლივად მომხდარიყო. აღნიშნული დაწესებულება იყო ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი სპორტის დარგში და ინსტიტუციის წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩართულიყვნენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის იმ დონეზე, რომ საბოლოოდ გადაიქცეულიყვნენ სამ საფეხურიან უმაღლეს სასწავლებლად, რომ არ ჰქონოდათ ის დეფიციტი, რომელიც ჰქონდათ კადრების მომზადების კუთხით, რადგან დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლები ხან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ხან კი - ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე იმდლებდნენ კვალიფიკაციას, სწავლობდნენ დოქტორანტურის საფეხურზე და საბოლოოდ ბრუნდებოდნენ დაწესებულებაში და ამაგრებდნენ უმაღლეს სასწავლებელს.

დაწესებულების რექტორმა სააუდიტორიო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, მათ შორის საანგარიშო პერიოდშიც, დაწესებულებამ ორჯერ გამოიცვალა ადგილმდებარეობა, რამდენიმე კვირის წინ მათთან იმყოფებოდა [საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი, თეა წულუკიანი], რომელიც შეპირდა, რომ 2022 წლის ბიუჯეტში აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული თანხა, 10 მილიონი ლარი, რომელიც მოხმარდება ილია ჭავჭავაძის №49-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე, დაწესებულებამ მაქსიმალურად განაახლა უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, გადაიტანეს და ასახეს ქართულ და ინგლისურენოვანი ინფორმაცია და დასძინა, რომ ოქტომბრისთვის სრულად იქნებოდა ინგლისურენოვანი ვერსია წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ისინი მხოლოდ ქართულ და რუსულენოვან პროგრამებს ახორციელებდნენ, თუმცა აცნობიერებდნენ, რომ ეს იყო

მნიშვნელოვანი, მთავარი საკომუნიკაციო და მათი სახე, რადგან ასეთი დიდი ძალისხმევა ჩადეს ვებ-გვერდის განახლებაში, ეცდებოდნენ, რომ ამ კუთხითაც მაქსიმალურად შეეცნოთ ინფორმაცია.

22-ე „ა“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ინგლისური ენის შესწავლას ეხებოდა, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება აცნობიერებდა თანამედროვე სწავლების პროცესში ინგლისური ენის როლს, როცა კურსის განმახორციელებელი ამას ფლობდა. აღნიშნული მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯი, რომ გარკვეულ დონეზე ვისაც ჰქონდა ინგლისური ენის კომპეტენცია, უნივერსიტეტმა მხარი დაუჭირა და შიდა რესურსით განახორციელა მათი გადამზადება. მიმდინარე წელს კი მათ ჰქონდათ აღნიშნულისათვის თანხები მობილიზებული და გეგმავდნენ, რომ ეთანამშრომლათ ენის შემსწავლელ ცენტრებთან და მოთხოვნა იქნებოდა შესაბამისი დონის სერტიფიკატის წარმოდგენა თითოეული ეტაპის გავლის შემდგომ.

დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან კიდევ ერთხელ გადახედა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას, სადაც ჩანაწერი იყო, რომ ინტერვიუს დროს პერსონალს ინფორმაციის ნაკლებობა ჰქონდა სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით და ვერ გასცეს პასუხები, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა სამიზნე ნიშნულები. თუმცა, დაწესებულების განმარტებით, სამიზნე ნიშნულების საკითხი კათედრებთან ერთად განიხილეს. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ის ავტორიზაციის პროცესის შემდეგ შეუერთდა დაწესებულების გუნდს და ამ მიმართულებით ერთადაც ითანამშრომლეს და შეაჯერეს მოსაზრება და ძალიან დაეხმარა მას ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ კუთხით. მას დახვდა ეს მოცემულობა და ინფორმაციის გაზიარების კუთხით, უბრალოდ რომ სცოდნოდა მას, იმ მტკიცებულებასაც დაურთავდა.

სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თვითმმართველობა იყო დამოუკიდებელი ერთეული და დაწესებულება არ ერეოდა მათ საქმიანობაში და მითუმეტეს სამოქმედო გეგმაში. პანდემიის პირობებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლა დაიწყო ოქტომბერში, დისტანციურ რეჟიმში და ძირითადად, გაზაფხულამდე სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ერთმანეთს შეხვედროდნენ. თუმცა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცათ გარკვეული აქტივობები ჩაატარდა. შესაბამისად, ამ მიმართულებით ძალიან აქტიური წელი არ ჰქონდათ სტუდენტებს. გაზაფხულიდან მიეცათ სტუდენტებს შესაძლებლობა, ჩართულიყვნენ უნივერსიალებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ერთობლივ კვლევით პროექტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ისინი მუდმივად ცდილობდნენ, ჩართულიყვნენ ასეთ პროექტებში, ამის მზაობა ჰქონდა უნივერსიტეტს, გარკვეული ნაბიჯებიც გადადგმული ჰქონდათ. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტების ჩართულობა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საერთაშორისო კვლევითი პროექტის შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომების ავტორები წახალისებული იქნებოდნენ და ჩართავდნენ აღნიშნულ პროექტში. ეს გამოყოფილი ჰქონდათ, როგორც პრიორიტეტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ ინგლისური ვებგვერდის შექმნისას, უნდა გაეთვალისწინებინათ გამოსაყენებელი საერთაშორისო ტერმინოლოგია, რადგან ქართულ ვარიანტშიც არ იყო გამოყენებული ბოლონის პროცესის მიერ შემოტანილი ტერმინოლოგია. მაგალითად, ქართულად აღნიშნული იყო „კათედრა“, რაც ბოლონის პროცესის მიხედვით აღარ არსებობდა და გამოიყენებოდა დეპარტამენტი. ეს იყო ერთადერთი რჩევა, რომელიც საბჭოს წევრის განმარტებით სურდა, რომ დაწესებულებას გაეთვალისწინებინა ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის შექმნისას, რადგან აღნიშნული ვებ-გვერდი ასევე ხელმისაწვდომი ყოფილიყო უცხოელებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:49 საათი

საბჭოს სხდომა განახლდა: 14:53 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:


მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: ავტორიზაციის დებულების 79¹ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში, ავტორიზაციის საბჭომ მიიღო ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 14:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე
ზარანდია თამარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

